საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია

საქმიანობის ანგარიში

2018 წელი

ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა

ადვოკატთა ასოციაციას, საქართველოს პარლამენტსა და პარტნიორ დონორ ორგანიზაციებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. აღნიშნული ცვლილებების შეტანას წინ უძღოდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

კანონში აისახა გაეროს პრინციპებით დადგენილი სტანდარტი ადვოკატის საქმიანობის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ. კანონის 38-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, „დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა, სახელმწიფო ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედება, დაშინება, იძულება, შევიწროება, დევნა, ზეწოლა, მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.“

კანონში შეტანილი ცვლილებებით ასევე, გამყარდა ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია) და ამავე დროს არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა თუ ამასთან დაკავშირებით არსებობს კლიენტის წინასწარი წერილობითი მოთხოვნა.“

ასევე, კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 7 წლიდან 10 წლამდე გაიზარდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა. ხსენებული ცვლილება შესაძლებლობას აძლევს იმ პირებს, ვისაც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დამადასტურებელი დოკუმენტის ვადის გასვლის საფუძველზე წინათ უარი ეთქვათ ასოციაციის წევრობაზე, ხელახლა მიმართონ ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს გაწევრიანების თაობაზე.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ახალი ცვლილებებით გაუმჯობესდა და გაიზარდა ადვოკატის პროფესიაში შესვლის სტანდარტი. კერძოდ, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან, ადვოკატი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და გავლილი აქვს პროფესიული ადაპტაციის ერთ წლიანი პროგრამა, რომელიც შედგება თეორიული ნაწილისა და მენტორ ადვოკატთან სტაჟირებისგან. პროფესიაში შესვლის საპილოტე პროგრამა უკვე 30-მა მონაწილემ გაიარა, რომელთაც ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა შესაბამისი სერთიფიკატები გადასცა. საპილოტე პროგრამის ფარგლებში შეფასდა პროფესიაში შესვლის პროგრამა და დაიგეგმა პროგრამის კონცეფციაში შესატანი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ცვლილებების შეტანით ადვოკატთა ასოციაციას არ დაუსრულებია ადვოკატის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფაზე მუშაობა. კერძოდ, განახლდა შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა, რომელმაც 2018 წლის განმავლობაში 3 სამუშაო შეხვედრა გამართა, მათ შორის, ერთი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად. ასოციაციის თავმჯდომარისა და წარმომადგენელთა მიერ ინიცირებულ იქნა ახალი წინადადებები, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადვოკატის პროფესიის შემდგომი გაძლიერებისა და მართლმსაჯულების ხარისხიანად ადმინისტრირების პროცესში. კერძოდ:

- სამოქალაქო სამართალწარმოების პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების ექსკლუზიურობა;
- უკანონო საადვოკატო საქმიანობისა და სახელწოდება "ადვოკატის" გამოყენება იმ პირის მიერ, რომელთაც არ გააჩნია ადვოკატის სტატუსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აღიარება;
- სასამართლო (ადვოკატის) ხარჯების განაწილების სამართლიანი პრინციპის განსაზღვრა და ადვოკატის ჰონორარის 4%-იანი ზღვარის გაუქმება;
- ნოტარიუსებისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის შეზღუდავა, რაც არ უკავშირდება კონკრეტული სანოტარო მოქმედების შესრულებას;
- ადვოკატის სტაჟიორისათვის, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დავალებით კონკრეტულ საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის უფლებამოსილების მინიჭება;
- საპროცესო შეთანხმებების დროს საზოგადოებრივი ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის პრობლემატიკა არა სოციალურად დაუცველ ბრალდებულებზე.

2005-2012 წლებში რეპრესირებულ ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ქართული ადვოკატურისთვის ისტორიული მნიშვნელობის კომისია შექმნა. აღნიშნული კომისია წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს, რომელიც დაეხმარება 2005-2012 წლებში რეპრესირებულ ადვოკატებსა და ასევე, პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულ პირებს ამტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა და მათ მიმართ ჩადენილ უსამართლობას მიეცეს შესაბამისი მორალური, სამართლებრივი და ღირებულებითი შეფასება. კომისიის პირველი თვეების მუშაობას მატერიალური მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოუცხადა, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შეთანხმდა.

კომისიის ჩამოყალიბება განაპირობა საგანგაშო ვითარებამ, როდესაც 2005-2012 წლებში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 100-ზე მეტი ადვოკატი იქნა მსჯავრდებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE) და ადვოკატთა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია (International Obserbatory for Lawyers), ადვოკატის საქმიანობა მიიჩნიეს რისკის სფეროდ და დაასკვნეს, რომ ადვოკატის პროფესია იდგა დესტაბილიზაციის რეალური საფრთხის წინაშე.

25 ოქტომბერს კომისიის საქმიანობის პირველი 4 თვის შედეგების პრეზენტაცია. ღონისძიებაზე გამომსვლელთა შორის იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი და „რეაბილიტაციის“ კომისიის თავმჯდომარე თამაზ ჯალიაშვილი. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კომისიაში 2018 წელს დარეგისტრირდა 14 განცხადება, მათ შორის 3 განცხადება წარმოდგენილი იქნა პარლამენტის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებულად მიჩნეული პირების მიერ. აქედან კომისიის მიერ ამ დროისათვის დამტკიცებული და გაცემულია 7 დადებითი დასკვნა. კომისია ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას.

ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი

ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი წლის განმავლობაში აქტიურად ახდენდა ადვოკატის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლას და ახდენდა მათზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას. 2018 წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა 18 სხდომა და განიხილა 53 განცხადება, რასაც თან სდევდა შესაბამისი ზომების გატარება კომიტეტის ან/და ასოციაციის თავმჯდომარის მიერ.

ამას გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონებში მოღვაწე ადვოკატების ჩართულობა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტთან ერთად წლის განმავლობაში დაიგეგმა არაერთი რეგიონული კონფერენცია ადვოკატის როლსა და ადვოკატის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- 14 აპრილი, მესტია - სამეგრელო-ზემო სვანეთის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტთან ერთად;

- 1 ივლისი, ქუთაისი - იმერეთის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტთან ერთად;
- 29 ივლისი, ბათუმი - აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტთან ერთად;
- 12 სექტემბერი, ბათუმი - აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტთან ერთად;
- 10 ნოემბერი, თელავი - კახეთის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტთან ერთად;
- 8 დეკემბერი, ქუთაისი - ქუთაისის ადვოკატების მხარდასაჭერი ბრიფინგი.

სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ადვოკატთა კორპუსის პოზიციონირება

თანამშრომლობის მემორანდუმები

ადვოკატთა ასოციაციამ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა იმ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუციებთან, რომელთა ერთობლივი ძალისხმევაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრების, სამართლიანი გარემოს შექმნისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

კერძოდ, გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ინსტიტუციებთან:

- **საქართველოს მთავარი პროკურატურა.** აღნიშნული მემორანდუმი, მათ შორის, ითვალისწინებს: „ბენჩ-ბარის“ ფორმატის საერთო მრგვალი მაგიდებისა და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას; ოჯახში ძალადობისა და არასრულწლოვანთა დანაშაულების შემცირების მიზნით, საერთო ღონისძიებების ორგანიზებას; მხარეების მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მიერ ქცევის ერთიანი სტანდარტის განზოგადებასთან დაკავშირებით ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას და სხვა.
- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.** მემორანდუმის მიზანია მხარეთა თანამშრომლობის გაღრმავება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, პრევენციული, ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- **ნოტარიუსთა პალატა.** მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების ორგანიზების, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო

პროექტების განხორციელების, რესურსების გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობის გზით.

- **საქართველოს პარლამენტი.** აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს ასოციაციის წარმომადგენელთა უფრო აქტიურ ჩართულობას საკომიტეტო მოსმენებსა და საკანონმდებლო საქმიანობაში. მემორანდუმით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით გაფორმდა დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის აპარატებს შორის.
- **საქართველოს კონკურენციის სააგენტო.** აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიება, მათ შორის, სემინარები თემებზე - ევროკავშირის მხარდაჭერა კონკურენციის სფეროში და კონკურენციის სააგენტოს როლი და კომპეტენციები.
- **საქართველოს საპატრიარქო.** მემორანდუმის თანახმად, მხარეთა მიზანია საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ხელი შეუწყონ საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებას, კანონის უზენაესობის და ქრისტიანული ღირებულებების განმტკიცებას. ამასთან, განხორციელდა ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან.

თანამშრომლობის სხვა ფორმები:

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ასოციაციის სხვა წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან, სადაც განიხილეს ის პრობლემატური საკითხები, რომელიც უკავშირდება ადვოკატების ურთიერთობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან, მათ შორის, ადვოკატების შესვლა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მათი პირადი შემოწმება, ამ მხრივ თანამედროვე საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა და ადვოკატებსა და კლიენტებს შორის შეუფერხებელი კომუნიკაციის საკითხები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული პრობლემების უკეთ გაანალიზებისა თუ გადაჭრის მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ინიციატივის განხორციელება დაბრკოლდა სამინისტროთა შერწყმის გამო, თუმცა კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული სამუშაო ჯგუფის ფორმირების საკითხზე.

დავით ასათიანმა, ფინანსთა მინისტრთან მამუკა ბახტაძესთან გამართულ გაცნობით შეხვედრაზე განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ფიზიკური პირი ადვოკატების დაბეგვრის შემსუბუქება და წინასწარი საავანსო გადახდების გაუქმება; ფიზიკური პირი კლიენტების მომსახურების დღგ-სგან გათავისუფლების შესაძლებლობა და საკრედიტო ორგანიზაციებისა და მომხმარებელთა უფლებებს

შორის თანასწორობის დაცვა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

ამასთან, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან, რა დროსაც, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის აღკვეთის პროცესში ადვოკატთა ასოციაციას, როგორც ერთ-ერთ საზედამხედველო ორგანოს, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია. ამასთან, მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნულ პროცესში ადვოკატთა ჩართულობა უნდა წარიმართოს ადვოკატსა და კლიენს შორის კონფიდენციალობის პრინციპის განუხრელად დაცვით.

აგრეთვე, გაიმართა სამუშაო შეხვედრა „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის წევრებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს მართლმსაჯულების შესახებ რეფორმის შედეგებსა და პერსპექტივებზე, სასამართლო რეფორმის ძირითად ტენდენციებზე და თანამშრომლობის მიმართულებებზე შეთანხმდნენ.
ასევე, ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებად აირჩია სამი ადვოკატი - რამაზ ჩინჩალაძე, თეა ჭეიშვილი და პავლე აბაიაძე.

ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდი

ადვოკატთა ასოციაციის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს კოლეგების მხარდაჭერა, მათ შორის სოციალური მიმართულებით. ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიზანია გვერდით დაუდგეს წევრებს, რომლებსაც მძიმე ფინანსური პრობლემები აქვთ სოციალური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. საანგარიშო პერიოდში სოციალური ფონდის დახმარებით ისარგებლა ასოციაციის 44-მა წევრმა, ხოლო ფონდის მიერ ამ მიმართულებით გახარჯული თანხა 50 000 ლარს აღემატება. ადვოკატთა ასოციაცია ფონდის საშუალებით კვლავაც აქტიურად გააგრძელებს შესაბამისი საჭიროების მქონე კოლეგების მხარდაჭერას.

ადვოკატთა კორპუსის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებაზე ზრუნვა

ბავშვთა ჰოსპისის მხარდაჭერა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ბავშვთა ჰოსპისი მოინახულეს და საშობაო საჩუქრები გადასცეს. აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ ჰოსპისის შენობას, მოინახულეს პაციენტები და სამომავლოდ ერთობლივი საქველმოქმედო ღონისძიებებიც დაგეგმეს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პალიატიური მზრუნველობის პაციენტებისთვის უფასო იურიდიული დახმარების პროგრამა

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ფონდ „ღია საზოგადოების" აღმასრულებელმა დირექტორმა, ქეთევან ხუციშვილმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ფონდის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური აშლილობის, ინტელექტუალური და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაციენტებისთვის უფასო იურიდიულ დახმარებას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფ პაციენტებს უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევენ სპეციალურად შერჩეული მაღალკვალიფიცური ადვოკატები, რომელთაც გაიარეს სპეციალური მომზადება, ტრენინგი ისეთ თემებზე როგორიცაა: ფსიქიკური ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები; შეზღუდული შესაძლებლობები, კანონმდებლობა და კონვენცია; პალიატიური მზრუნველობის არსი, ტკივილების გაყუჩება; ადამიანის უფლება და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

2018 წლის 1-ლი ივლისიდან ასოციაციაში ფუნქციონირებს პროექტის ცხელი ხაზი და აღნიშნული უფასო იურიდიული მომსახურების მიღება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. ამჟამად, პროექტის ფარგლებში ადვოკატებმა უკვე აწარმოეს 10-ზე მეტი საქმე, რაც ასევე, მოიცავდა სასამართლოში წარმომადგენლობას.

ზემოაღნიშნული მიმართულებით დეკემბერში გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა დონორ ორგანიზაციასთან ერთად. შეხვედრის ფარგლებში შეჯამდა 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და დაიგეგმება პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შემდგომი აქტივობები.

ასოციაციის პრობონო საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული სხვა ღონისძიებები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროპის საბჭოს ექსპერტი - რიტის იოკუბაუსკასი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტმა შეისწავლა ადვოკატთა ასოციაციის შესაძლებლობები და გამოწვევები პრობონო საქმიანობის მიმართულებით, შეაფასა მიმდინარე პრობონო პროექტის პროგრესი და შეიმუშავა

სპეციალური ანგარიში ადვოკატთა ასოციაციისთვის, სადაც ასახულია პრობონო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის საჭირო რეკომენდაციები და საუკეთესო ევროპული პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით.

ამასთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და „საჯარო ინტერესის გლობალური ქსელის“ (PILnet) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა პრო ბონო სერვისების სისტემის განვითარების საკითხებზე. შეხვედრაზე დამსწრე ადვოკატებისთვისა და არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის გასაცნობად, წარმოდგენილ იქნა „საჯარო ინტერესის გლობალური ქსელის“ მიერ გამოცემული პრო ბონო სახელმძღვანელოს ქართულენოვანი თარგმანი.

კორპორატიული ერთობის განმტკიცებასთან დაკავშირებული კულტურული და სოციალური ღონისძიებები

26 მაისს „ადვოკატთა თასის“ ყოველწლიური ტურნირის საფინალო თამაშები გაიმართა. ტურნირმა პირველად მიიღო ასეთი მასშტაბური სახე რეგიონების ჩართულობითა და მთელი საქართველოს ადვოკატების მონაწილეობით. უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობის ფონზე ტურნირში ადვოკატთა 12 გუნდი მონაწილეობდა.

7-8 ივლისს, ყვარელში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტის ორგანიზებით, ადვოკატთა ასოციაციის ჭადრაკის ტურნირი გაიმართა. ტურის ფარგლებში ასევე, გათვალისწინებული იყო კახეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება და ღვინის დეგუსტაცია.

24-29 ოქტომბერს, კიევში ადვოკატთა ასოციაციების საფეხბურთო გუნდებს შორის ფუტზალში, საერთაშორისო ჩემპიონატი გაიმართა. პირველად საერთაშორისო ასპარეზზე, ჩემპიონატში მონაწილეობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გუნდმაც მიიღო, რომლის მგზავრობისა და მონაწილეობის ხარჯები სპონსორის მიერ იქნა დაფარული.

8 ნოემბერს, ადვოკატის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით გაიმართა გალა ვახშამი, რომელსაც 300-ზე მეტი ადვოკატი და საერთაშორისო დელეგაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიების ხარჯები თავად მონაწილეების მიერ იქნა დაფარული.

საერთაშორისო და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციამ უმასპინძლა არაერთ უცხოელ კოლეგასა და დელეგაციას, მათ შორის:

- ინგლისისა და უელსის სამართლის საზოგადოების წარმომადგენელი;
- იურისტთა საერთაშორისო კომისიის დელეგაცია;
- იურიდიული და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები შვეიცარიიდან;
- იურისტთა დელეგაცია ყაზახეთიდან;
- დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი;
- ბელარუსის ადვოკატთა ეროვნული კოლეგიის თავმჯდომარე.

ამასთან, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანმა და აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, ზურაბ როსტიაშვილმა, ანკარაში, თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების (TURK-AV) გენერალური ასამბლეაში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც ორგანიზაციის 12 წევრი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აგრეთვე, ქალაქ პრაღაში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი ჩეხეთის ადვოკატთა პალატის პრეზიდენტს, ვლადიმირ იროუსეკს შეხვდა, რა დროსაც, მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანაშრომლობაზე სტრატეგიული მიმართულებებით, როგორიცაა ადვოკატთა განათლება, ადვოკატების ეთიკა, ადვოკატის სკოლის გაძლიერება და ა.შ. დაიგეგმა საპასუხო ვიზიტი თბილისში, სადაც გაფორმდება შეთანხმება საქართველოსა და ჩეხეთის ადვოკატთა გაერთიანებას შორის.

2 ნოემბერს, მინსკში, ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ადვოკატთა გაერთიანებებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის გზები“. ღონისძიებაზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი ბელარუსის ადვოკატის საპატიო ორდენით დააჯილდოვეს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ართვინში თურქეთის შავი ზღვისპირეთის ადვოკატთა ასოციაციების თავმჯდომარეების შეხვედრაში. შეხვედრა ასოციაციების თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

15 და 16 ნოემბერს, ბაქოში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ადვოკატების როლსა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. კონფერენციას განსაკუთრებული სტუმრების რანგში ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ირაკლი ყანდაშვილი. დავით ასათიანმა კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ისაუბრა ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და თვითრეგულირების მნიშვნელობაზე. კონფერენციას ესწრებოდა 100-ზე მეტი დელეგატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების (TURK-AV) აღმასრულებელი საბჭოს სხდომა თბილისში

გარდა საერთაშორისო ვიზიტებისა, აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეგიდით, საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების და მხარდაჭერის ფარგლებში, თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების (TURK-AV) აღმასრულებელი საბჭოს სხდომა თბილისში გაიმართა. შეხვედრაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მოცემული ორგანიზაციის წევრად რუსეთის ფედერაციის ადვოკატთა პალატის მიიღება და ორგანიზაციის შემდეგომი განვითარება და გაფართოება. სხდომას, თურქეთის ადვოკატთა ასოციაციების გაერთიანების პრეზიდენტი, მეტინ ფეიზოღლუ უძღვებოდა, რომელმაც ქართველი ადვოკატებისათვის გამართა საჯარო ლექცია თემაზე - „ადვოკატებისა და ადვოკატთა ასოციაციების როლი სამართლის უზენაესობის შენების პროცესში“. სხდომაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ანარ ბაგიროვი და თურქეთის, რუსეთისა და ყაზახეთის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები. ამავე დღეს გამართულ სამმხრივ შეხვედრაზე საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. TURK-AV აერთიანებს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის 10-ზე მეტი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციას და მილიონზე მეტ ადვოკატს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი მოცემული გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი და აღმასრულებელი საბჭოს წევრია.

თანამშრომლობის გაღრმავება ევროპის ადვოკატთა ასოციაციაციასთან (AEA-EAL)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირველი არაევროკავშირის წევრი ქვეყანაა, რომელიც 2017 წელს ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სრული წევრი გახდა და ამგვარი პრეცედენტით გზა გაუხსნა სხვა არაწევრ ქვეყნებს შეუერთდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციას.

სამუშაო შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ელჩთან

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ასოციაციის თავმჯდომარეს, დავით ასათიანსა და საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს, ჯასტინ მაკკენზი სმიტს შორის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ურთიერთანამშრომლობის სხვადასხვა ინიციატივა, მათ შორის:

- ბრიტანულ-ქართული სამართლის ფორუმის შექნმა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის იურიდიული პროფესიისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას;
- ადვოკატთა ასოციაციის ახალი პრობონო ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობა, რომელიც ითვალისწინებს დამწყები მეწარმე ქალებისთვის იურიდიულ მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ასევე ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, და
- საინვესტიციო და ბიზნეს სამართლის საკითხებზე საერთო ღონისძიებების ჩატარება ქართველი ადვოკატებისათვის.

სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, კარლ ჰერცელს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები და ევროკავშირის როლი ასოციაციის შემდგომ განვითარებასა და იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში. ევროკავშირის ელჩმა კვლავაც აღუთქვა მხარდაჭერა ადვოკატთა ასოციაციას და მიმოიხილა ურთიერთთანამშრომლობის ის მიმართულებები, რაზეც ადვოკატთა ასოციაცია და ევროკავშირის წარმომადგენლობა მამავალშიც გააგრძელებენ ერთობლივ მუშაობას.

სამუშაო შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან

თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ელჩმა გამოთქვა მზაობა მხარი დაუჭიროს ადვოკატთა ასოციაციის იმ ინიციატივებსა და პროექტებს, რომელიც უზრუნველყოფს მის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესების დაცვისთვის, ასევე საქართველოსა და თურქეთს შორის ბიზნეს და სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის.

შეხვედრა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აქამდე განხორციელებული ერთობლივი პროექტები, მათ შორის, შრომის სამართლის სფეროში ჩატარებული პროფესიული ტრენინგები, ბენჩ-ბარის ფორმატის შეხვედრები და ა.შ. მხარეებმა შეაჯამეს 2018 წლის თანამშრომლობა და შეთანხმდნენ 2019 წლის განმავლობაში აქტიურ თანამშრომლობაზე.

პარტნიორ ორგანიზაციებთან დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტები

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტ - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG)"-თან შედგა შეთანხმება მომდევნო წელს ერთობლივად განსახორციელებელ მნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს:

- ადვოკატის ერთიანი პორტალის შექმნას;
- 3 ახალი სასწავლო მოდულის შექმნასა და 20-მდე ტრენინგის ჩატარებას;
- 9 ტრენინგის ჩატარებას 2018 წელს შემუშავებლ მოდულების შესაბამისად;
- ადამიანის უფლებების თემაზე არსებული ყველა მოდულის შეფასებასა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას;
- შეხვედრებს ეთიკის კომისიის წევრებისთვის ერთიანი პრაქტიკის დადგენის მიზნით;
- ეთიკის კომისიის წევრთა სამაგიდო წიგნის შემუშავებასა და სხვა აქტივობებს.

ასევე, შეთანხმდა ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით მომდევნო წელს განსახორციელებელი აქტივობები. კერძოდ:

- პრობონო მიმართულების შემდგომი განვითარება;
- ბენჩ-ბარის ფორმატის შეხვედრების მხარდაჭერა;
- აღმასრულებელი საბჭოს წევრთა ტრენინგები ორგანიზაციულ მართვასა და სტრატეგიულ მართვაში;
- ასოციაციის აპარატის თანამშრომელთა ტრენინგი service + და სასწავლო პროცესების დაგეგმვა-მართვაში;
- ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა;
- მენტორების ტრენინგების ციკლის გაგრძელება;
- მენტორთა სახელმძღვანელოს პუბლიკაცია;

- 1 წლიანი პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა ტრენინგი სწავლების მეთოდოლოგიაში;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება;
- ადვოკატის როლის შესახებ სოციალური რეკლამის შექმნა, და სხვა.

ასოციაციის ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით

განცხადებებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებების გზით, ადვოკატთა ასოციაცია წლის განმავლობაში აქტიურ რეაგირებას ახდენდა სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროსთან დაკავშირებულ ქვეყანაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის დაპირისპირების ტენდენცია;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების დახურვის შესახებ ინიციატივა;
- მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში ცვლილებების შეტანა;
- მინდელის შახტაში მომხდარი ტრაგედია და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები;
- ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" კანონპროექტი;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროვების პრობლემატიკა, და სხვა.

წლის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემაში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, პოპულარიზაციას. ამ მიზით, ასოციაციაში, ფართო ჩართულობით, გაიმართა არაერთი შეხვედრა „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განიხილვისა და ასოციაციის მოსაზრებების შემუშავების მიზნით. ასევე, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები რუსთავსა და გორში მოღვაწე ადვოკატებთან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით ჭარბვალიანობასა და სასესხო-საკრედიტო რეგულაციებთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანმა გახსნა და მას ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, იუსტიციის და ფინანსთა მინისტრის მოადგილეები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. შეხვედრის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციამ წარმოადგინა საკუთარი ხედვა და მოსაზრებები ჭარბვალიანობის პრობლემის დაძლევასთან დაკავშირებით. კერძოდ, ასოციაციის მიერ შემუშავდა პრობლემის დაძლევის შემდეგი გეგმა:

- სასესხო ურთიერთობებში რეგულირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ოდენობის დარღვევა ჩაითვალოს მევახშეობად და გამოცხადდეს კანონსაწინააღმდეგო მოვლენად გერმანული მოდელის შესაბამისად;
- მოქალაქეთა მუდმივი ვალაუვალობის დასრულების მიზნით, კანონმდებლობით დაწესდეს კონკრეტული ვადა (არაუმეტეს 10 წელი), რომელშიც მოხდება კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელება. შედეგად კი კერძო პირებს შეეძლებათ სრულფასოვან სამოქალაქო ურთიერთობებში დაბრუნება;
- კანონით ერთმნიშვნელოვნად აიკრძალოს სასესხო ურთიერთობებში პროცენტიდან პროცენტის გადახდა;
- სასესხო ურთიერთობებში კანონით უნდა დაწესდეს პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს წლიური საპროცენტო განაკვეთის ნახევარს.
- თავდები პირების, გირავნობის და იპოთეკის საგნის მესაკუთრეების მიმართ შემოღებულ იქნას წინასწარი სავალდებულო ინფორმირების და მათი გადახდისუნარიანობის სათანადოდ შემოწმების მექანიზმი;
- შემუშავდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც დააწესებს ფიზიკურ პირთა გაკოტრებულად ცნობის შესაძლებლობას, რაც ჩვენს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ეკონომიკური აქტივობა.

აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. შეხვედრის ფარგლებში იმსჯელეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც გადახდისუუნარობის მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებებს ეხება და იმსჯელეს იმ მთავარ პოზიტიურ ასპექტებზე, რომელიც გათვალისწინებულია შემოთავაზებული კანონის პროექტით.

ასევე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, 27 მარტს, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის” (G4G) ფარგლებში თბილისში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით „ქალის როლი ეკონომიკის ზრდასა და რეფორმების შემუშავებაში“ მოხსენება გააკეთა, სადაც მან ხაზი გაუსვა ქვეყნის მართვაში, ბიზნესში, სამოქალაქო საზოგადოებასა და ტექნიკურ პროფესიაში ქალის როლის გაძლიერების მნიშვნელობას.

აგრეთვე, ასოციაციის თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრები, უზენაესი სასამართლოს შერჩევის პროცესთან დაკავშირებით შეხვდნენ და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა ასოციაციამ თავისი წარმომადგენლები წარადგინა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოში, რომლებიც აქტიურად არინ ჩართულნი აღნიშნული საბჭოს ყველა სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში.

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია

8-9 ნოემბერს, თბილისში, ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას დაესწრნენ ადვოკატები საქართველოდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან და ტაჯიკეთიდან, მათ შორის შვიდი სხვადასხვა ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

კონფერენციაზე ექსპერტების რანგში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა მაღალი დონის იურისტებმა, როგორებიც არიან: ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი და CCBE-ის ყოფილი პრეზიდენტი **მარია სლაზაკი**; ავსტრიის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი და CCBE-ის ყოფილი პრეზიდენტი **რუპერტ ვოლფი**; CCBE- ის ევროპული კონვენციის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე **ლორან პეტიტი** და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **კრისტოფ ფონ ვილკენი**.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონფერენციის მონაწილეებმა, აქტიური განხილვისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, ერთხმად მიიღეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები. კერძოდ, რეკომენდაციების სახით მიღებულ იქნა ადვოკატებისა და ადვოკატთა ასოციაციების სახელმძღვანელო პრინციპები შემდეგ საკითხებზე:

- საადვოკატო საქმიანობის ექსკლუზიურობა;
- ადვოკატის პროფესიაში შესვლის სტანდარტები;
- ადვოკატთა ასოციაციების როლი პრო-ბონო იურიდიული დახმარების განხორციელებაში.

კონფერენციის ფარგლებში ასევე, შემუშავდა და ერთხმად იქნა მიღებული „ადვოკატის პროფესიის შესახებ“ ევროპული კონვენციის მხარდამჭერი განცხადება, რომელიც მნიშვნელოვან პოზიტიურ წვლილს შეიტანს აღნიშნული კონვენციის შემუშავებისა და მიღების პროცესში.

თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ადვოკატთა ასოციაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მომავალ თაობასთან ურთიერთობასა და მათ წარმატებულ ინტეგრაციას იურიდიულ პროფესიაში. ამ მიზნით, 2018 წლის განმავლობაში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმები გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტთან და კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასთან.

ამასთან, ადვოკატთა ასოციაციამ გამართა 2 შეხვედრა სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა ადვოკატთა საკვალიფოკაციო გამოცდის შედეგები და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა მიხედვით გამოცდის სტატისტიკური მონაცემები და ასევე, იურიდიულ ფაკულტეტებსა და ასოციაციას შორის უფრო აქტიური თანამშრომლობის გზები.

აგრეთვე, ადვოკატთა ასოციაცია იურიდიული საზოგადოების ინფორირების მიზნით აწარმოებს აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ადვოკატის პროფესიაში შესვლის ახალ წესთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა შემდეგი უნივერსიტეტების სტუდენტებთან:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტი;
- თბილისის ღია უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

აგრეთვე, კონკურსის საფუძველზე შეირჩა 30-ზე მეტი სტუდენტი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომელთაც პრაქტიკული კურსი გაიარეს ასოციაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე და ეთიკის კომისიის ფარგლებში შექმნილ იურიდიულ კლინიკაში.

სიახლეები და ინოვაციები

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ აამოქმედა ადვოკატთა შესახებ კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრული ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორიცაა ადვოკატებს შორის ან ადვოკატსა და მის კლიენტს შორის დავის მედიაციით გადაწყვეტის შესაძლებლობა. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები სრულიად უსასყიდლოდ განახორციელებენ მედიაციას მხარეთა მორიგების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს კორპორაციული ერთობის გაძლიერებასა და ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ ადვოკატის სამკერდე ნიშნის დიზაინი დაამტკიცა. სამკერდე ნიშნის კონცეფცია სრულად შეესაბამება ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას (ლოგოს), რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა დამტკიცებული ასოციაციის საერთო კრების მიერ. კორპორაციული ერთიანობის იდეის ამსახველი სამკერდე ნიშანი ადვოკატებს შეუძლიათ ატარონ როგორც

ყოველდღიური საქმიანობისას აგრეთვე, სხვა ოფიციალურ თუ სადღესასწაულო ღონისძიებებზე.

აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თავმჯდომარის უშუალო მონაწილეობით შეიქმნას "ადვოკატთა სათათბირო ჯგუფი", რომლის მიზანია ადვოკატთა ფართო ჩართულობით, პროფესიის წინაშე მდგარი სხვადასხვა თემატიკის პრობლემების განხილვა.

ადვოკატთა ასოციაციის ძალისხმევით, საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ იქნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ვექილთა (ადვოკატთა) საბჭო, რაც შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის ისტორიის ათვლის წერტილად. შესაბამისად, 2019 წელი ქართული ადვოკატურის საუკუნოვანი იუბილეს წელია. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივითა და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებების, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე დაგეგმვას.

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ახალი დიზაინი. აღნიშნული მოწმობის დიზაინი 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება, ხოლო ამჟამად არსებული საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებლი მოწმობის მოქმედება ძალაშია 2020 წლის 1-ელ იანვრამდე. მოწმობის ახალი დიზაინი შეიცავს ყველა მნიშვნელოვან ატრიბუტს, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოწმობაზე დატანილია ადვოკატის ვიწრო სპეციალიზაცია (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება) და პირადი ნომერი.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა ასოციაციის სერვისების შემდგომი სრულყოფის სტრატეგია, რომლის განხორციელებაც ასოციაციას მისცემს შესაძლებლობას უფრო მრავალფეროვანი, სრულყოფილი და თანამედროვე სერვისები შესთავაზოს როგორც ასოციაციის წევრებს, ასევე, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს.

სტრუქტურული და საშტატო რეფორმები

ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, ასოციაციის აპარატში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. კანონის დონეზე გაიწერა ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის როლი და კომპეტენცია და აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტით აღნიშნული საშტატო ერთეული აღიჭურვა თვისებრივად ახალი უფლება-მოვალეობებით. ამასთან,

შემუშავდა ნათლად განსაზღვრული სტრუქტურული ხე, გაუქმდა ასოციაციის მიზნებთან შეუსაბამო საშტატო ერთეულები, ჩამოყალიბდა ახალი ან/და მოდიფიცირდა არსებული საშტატო ერთეულები და ამასთან, გაიმიჯნა და დეტალურად გაიწერა თითოეული საშტატო ერთეულის უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, შემუშავდა და დამტკიცდა ასოციაციის აპარატის შინაგანაწესი, რომელიც ახდენს სამსახურებრივი წესებისა და მოთხოვნების დეტალურ რეგლამენტაციას.

ადვოკატების/ბიუროების რეესტრის მონაცემთა სრულყოფა

ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიანი სიის ეფექტიანად ადმინისტრირებისა და გამართულად ფუნქციონირების მიზნით განახლდა არსებული მონაცემთა ბაზები, ნაცვლად რამდენიმე სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზისა შეიქმნა ერთი მოდერნიზებული ბაზა, რომლიც სრულად შეიცავს განახლებულ ინფორმაციას, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრების ასევე, საადვოკატო ბიუროების შესახებ. მონაცემთა ბაზების სისტემატიზაციამ უზრუნველყო ასოციაციის წევრებთან საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება და ამ მიმართულებით ადამიანური რესურსების დაზოგვა.

ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

ევროსაბჭოს, ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და ადვოკატთა ასოციაციის წევრთა, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ პირთა აქტიური ჩართულობით შემუშავდა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ადვოკატის პროფესიისა და ასოციაციის საქმიანობის ყველა პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის განხორციელების შედეგად, ასოციაცია გადავა ინსტიტუციური განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე.

სტრატეგიის პრეზენტაცია 20 ნოემბერს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. ღონისძიება გახსნეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანმა, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში კრისტიან ურსემ, საქართველოში ევროკავშრის წარმომადგენლობის მართლმსაჯულების პროგრამების ხელმძღვანელმა პიტერ დენისმა და ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის პროგრამის კოორდინატორმა რუსუდან ტუშურმა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, საერთო სასამართლოების, ასევე, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ასოციაციის ახალი ვებ-გვერდი

19 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი, ულტრათანამედროვე და მრავალფუნქციური ვებ-გვერდის პრეზენტაცია გაიმართა.

ახალი ვებ-გვერდი სრული დატვირთვით 2019 წლის იანვრიდან ამოქმედდება და მრავალ პრაქტიკულ ფუნქციას შეითავსებს, მათ შორის, ადვოკატებისათვის გაადვილდება ასოციაციის ტრენინგებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება და რეგისტრაცია. ასევე, ყველა ადვოკატს ექნება შესაძლებლობა დისტანციურად შექმნას /დაარეგისტრიროს საკუთარი პროფილი.

ახალი ვებ-გვერდი მაქსიმალურად ორიენტირებულია სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირის კომფორტზეც: მრავალმხრივი, თანამედროვე ფუნქციების საშუალებით თითოეულ მოაქალაქეს შეეძლება მარტივად მოძებნოს სასურველი ადვოკატი თუ ბიურო, გაეცნოს და მიიღოს სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია.

ტექნოლოგიები და IT ინფრასტრუქტურა

ეკონომიისა და ოპტიმიზაციის მიზნით, გაუქმდა ზედმეტი ტელეფონის ნომრები, რომელიც ხშირად აბნევდა მომხმარებელს. შეიქმნა ერთი ძირითადი სატელეფონო ნომერი, სადაც შემომავალი ზარით აბონენტს შეუძლია დაუკავშირდეს ორგანიზაციის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რაც ზრუნველყოფს სასურველი ინფორმაციის დროულად მიღების შესაძლებლობას.

დაინერგა შიდა ტელეფონის სერვისი, დაინერგა შიდა სატელეფენო ქსელის სისტემა, რომელიც სრულად იმართება IT სამსახურის მიერ. ორგანიზაციის შენობებს შორის (ადმინისტრაციის და სასწავლო ცენტრის შორის) გაკეთდა დაშიფრული ინტერნეტ კავშირი, რამაც საშუალება მოგვცა დანერგილიყო საერთო სისტემები.

თანამშრომლების პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით განხორციელდა ორგანიზაციის შიდა საბეჭდი მოწყობილობების რაოდენობის განახლება და საზიარო ფუნქციების დალაგება.

კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურ მუშაობს განახლდა და შეიცვალა როგორც სრულად, ასევე მოდულების დონეზე.

თანამედროვე სამუშაო პროცესი უმეტესად დამოკიდებულია ინტერნეტ სერვისზე. შესაბამისად როგორც ერთერთი პრიორიტეტული IT საქმიანობა, მოწესრიგდა ქსელის გაყვანილობა, რამაც მეტად სტაბილური გახადა ინტერნეტი და შიდა ინტერნეტ კომუნიკაცია. ორგანიზაციაში დაინერგა ერთერთი ყველაზე წამყვანი ტექნოლოგია უსადენო ქსელის მიმართულებით, განახლდა wifi ქსელის მოწყობილობები და შეიქმნა ქსელის მონიტორინგისა და მართვის ცენტრალიზებული სისტემა. შესაბამისად, თანამშრომლებსა და მომხმარებლებს მიეწოდებათ ყველაზე თანამედროვე სისტემის უსადენო ინტერნეტი. ამასთან, შიდა ქსელისა და ინტერნეტის სერვისის სრულყოფილი მიღებისა და მოხმარებისთვის განხორციელდა შიდა ქსელის ტოპოლოგიის განახლება და ოპტიმიზაცია.

კიბერუსაფრთხოების მიზნით განხორციელდა უსადენო ქსელის სეგმენტაცია და დაცვითი მექანიზმების დანერგვა. შეიქმნა სტუმრებისთვის გამოყოფილი wifi ქსელი რომელიც 100%-ით არის დაცული კიბერშეტევებისგან. სრულად წაიშალა და განახლდა მოძველებული ოპერატიული სისტემა, რომელზეც აღარ ვრცელდება მწარმოებლის მხარდაჭერა.

სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციისთვის დაინერგა საზიარო კალენდარი, რაც შესაძლებლობას იძლევა ეფექტიანად დაიგეგმოს ყველა ღონისძიება. ასევე, დაინერგა IT ამოცანების მენეჯმენტის პროგრამა და ფაილსერვერი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საზიარო დოკუმენტების თუ ფაილების განთავსება ერთიან სერვერზე, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა მიერ გაწეული შრომის ოპტიმიზაციას.

შეძენილ იქნა ასოციაციის საკუთარი სერვერი და მოეწყო შიდა სასერვერო ოთახი, სადაც დაინერგა ვირტუალიზაციის სისტემა. ამით შესაძლებლობა მოგვეცა სერვერული რესურსი გამოვიყენოთ ოპტიმალურად და დავნერგოთ სხვა თანამედროვე და საჭირო სერვისები.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნა და ორგანიზაცია მალე სრულად გადავა ელექტრონული საქმისწარმოებაზე, რაც შეამცირებს ხარჯებს და უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის მოქნილობას.

აგრეთვე მიმდინარეობს ანტივირუსის ცენტრალიზებული სისტემის დანერგვა, შიდა კომუნიკატორის პროგრამული უზრუნველყოფის გაშვება, საერთო პროექტ მენეჯმენტის პროგრამის გაშვება და სხვა.

ინფრასტრუქტურული განვითარება

7 დეკემბერს, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზუგდიდში გახსნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული ოფისი, რომლის გახსნამდეც საოფისე ფართზე მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.
ახალი ინფრასტრუქტურული ერთეულის მეშვეობით ადვოკატთა ასოციაცია უფრო ხარისხიანად მოემსახურება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადვოკატებს. ასევე, უფრო ხელმისაწვდომი გახდება როგორც განგრძობადი იურიდიული განათლების აქტივობებში მონაწილეობა, ასევე ასოციაციის საკომიტეტო თუ სხვა საქმიანობაში ჩართულობა.
ზუგდიდის საოფისე ფართი 260 კვ.მ. ქალაქის ცენტრში, ადვოკატთა ასოციაციას უვადო სარგებლობაში უსასყიდლოდ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2018 წელს გადასცა.

აღმასრულებელი საბჭოს სხომებისა და ასოციაციაციაში გაწევრიანების სტატისტიკა

გარდა ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილ აქტივობებში ჩართულობისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში აღმასრულებელმა საბჭომ გამართა 21 სხდომა და განიხილა 200-ზე მეტი საკითხი. ამასთან, მიიღო გადაწყვეტილება კანონისა და წესდების შესაბამისად, 1060[1] პირის ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. ჯამში, 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ასოციაციაში ირიცხება 4955 მოქმედი ადვოკატი.

საკომიტეტო საქმიანობა

აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით, ასოციაციის თბილისის ოფისში შეიქმნა 19 თემატური კომიტეტი, ხოლო რეგიონულ ცენტრებში (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი) შეიქმნა 16 რეგიონული კომიტეტი. თითოეული კომიტეტი შედგება 7-დან 15-მდე ადვოკატისგან, რომელთა შემადგენლობები, შესაბამისი დებულებით გაწერილი პროცედურების ჩატარების გზით, 2018 წლის დასაწყისში სრულად დაამტკიცა აღმასრულებელმა საბჭომ.

ჯამში, 2018 წლის განმავლობაში, თბილისის ოფისში გაიმართა 105 საკომიტეტო შეხვედრა, ხოლო რეგიონების მასშტაბით 80 სხდომა.

[1] მონაცემები მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გენდერული ბალანსი: 516 მამრობითი, 544 მდედრობითი.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი

კომიტეტის მიზანია, ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ადვოკატთა კორპუსის აქტიური ჩართულობით.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 7 სხდომა და იმუშავა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა და არასრულწოვანთა მართლმსაჯულება. ამასთან, კომიტეტმა შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია ასოციაციისთვის სექსუალური შევიწროვების გასაჩივრების შიდა მექანიზმის დანერგისთვის, რომელიც წარედგინება აღმასრულებელ საბჭოს. კომიტეტი ასევე აქტიურად იყო ჩართული ასოციაციის სასწავლო ცენტრში გენერული თანასწორობის თემატიკაზე მოდულების შემუშავების პროცესში ტრენერების კონსულტირების პროცესში. კომიტეტმა აგრეთვე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც იანვრის დასაწყისში გააკეთებს ბენჩ-ბარის დისკრიმინაციის თემატიკაზე.

ადვოკატთა სოციალური დაცვის კომიტეტი

კომიტეტის მიზანია, ადვოკატის სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიმართულებებზე მუშაობა, მათი მდგომარეობის შესწავლა და ასოციაციისთვის შესაბამისი დასკვნების მომზადება.

წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა 12 სხდომა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა და გაიწერა სამოქმედო გეგმები შემდეგი მიმართულებებით: ადვოკატთათვის სპეციალური სადაზღვევო პაკეტზე შეთავაზება და ადვოკატთა პროფესიის სტატუსის გათანაბრება განსაკუთრებულ სახელმწიფო მოსამსახურეთა სტატუსთან სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ კანონის მიხედვით.

ამასთან, 10 ნოემბერს კომიტეტმა ჩაატარა გასვლითი შეხვედრა კახეთის რეგიონში მოღვაწე ადვოკატებთან სახელმწიფო კომპენსაციის კანონის შესახებ.

სამოქალაქო სამართლის კომიტეტი

კომიტეტის საქმიანობის მიზანია სამოქალქო სამართლის სფეროში კანონშემოქმედებით პროცესსა და მონიტორინგში ასოციაციის წევრთა ჩართულობის უზრუნველყოფა. კომიტეტი შეიმუშავებს კანონპროექტებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს სამოქალაქო სამართლის საკითხებზე და ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლებასთან, მის ინსტიტუციებთან და საქართველოს პარლამენტთან.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 5 შეხვედრა. კომიტეტმა განიხილა ცვლილებების პაკეტი სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ასევე მოსამართლის თანაშემწის ფუნქციებში შესატან ცვლილებებზე. კომიტეტის წევრებმა

განიხილეს აღსრულების შესახებ კანონპროექტი და შეიმუშავეს მოსაზრებები. კომიტეტმა კომერციული სამართლის კომიტეტთან ერთად იმსჯელა და მოსაზრებები ჩამოაყალიბა სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე და ახალ საბანკო რეგულაციებზე, რომელიც ეხება საკრედიტო ურთიერთობებს და ჭარბვალიანობის საკითხს და მოაწილეობა მიიღო სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ჩატარებულ მრგვალ მაგიდაში.

სისხლის სამართლის კომიტეტი

კომიტეტის საქმიანობის მიზანია სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებასა და რეფორმირების პროცესში აქტიური მონაწილეობა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების მისაღწევად და ასევე, სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესში, ადვოკატის როლის გაუმჯობესების ხელშეწყობა და დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. კომიტეტი შეიმუშავებს კანონპროექტებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმების საკითხებზე.

წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა 12 სხდომა. განიხილა არაერთი ინდივიდუალური განცხადება და სარჩელი და ჩაატარა გაერთიანებული სხდომები არასამთავრობო ორგანიზაცია EMC - თან პროკურატურის რეფორმის შესახებ და ინიციატივა “femicide.ge” -თან ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარე ასოციაციის სახელით ჩართული იყო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საბჭოს მუშაობაში. კომიტეტმა განიხილა საბჭოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების პროექტი. კომიტეტის წევრებისგან დაკომპლექტებულმა მცირე ჯგუფმა შეიმუშავა მოსაზრებები შესატანი ცვლილებების თაობაზე და გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს, რომელთაგან ზოგიერთი რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა.

კომიტეტის წევრები მუშაობენ სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაზე, რომელთაგან რამოდენიმე საკითხი სიღრმისეულად დამუშავდა და იანვრის თვეში იგეგმება კონფერენცია/მრგვალი მაგიდის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი.

ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი

კომიტეტის მიზანია იურიდიული პროფესიის და ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 6 სხდომა განიხილა კანონპროექტები მომხმარებელთა უფლებების შესახებ და გადახდისსუუნარობის შესახებ. კომიტეტი იკვლევს თბილისის მერიის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონის დარღვევით გამოცემულ ინდივიდუალ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს. ამ მიზნით ჩატარდა ღია შეხვედრა ასოციაციის წევრ ადვოკატებთან, განხილულია კონკეტული აქტები და მომზადებულია დოკუმენტი, რომელიც მოგვიანებით გადაეგზავნება თბილისის მერიას.

კომერციული და კონკურენციული სამართლის კომიტეტი

კომიტეტის მიზანია იურიდიული პროფესიის და ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა კომერციული და კონკურენციის სამართლის სფეროში დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად. კომერციული და კონკურანციის სამართლის სფეროში ცნობიერების ამაღლება, აგრეთვე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების შედეგად შესაბამისი მიმართულებებისა და სიახლეების დანერგვა და ამ საერთაშორისო ინსტიტუტებთან ინტეგრირება.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 6 სხდომა. კომიტეტის წევრები ასოციაციის სახელით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონფერენციებში და მრგვალ მაგიდებში. კომიტეტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო პარლამენტის მიერ ორგანიზებულ განხილვებზე მომხმარებელთა უფლებათა დაცვის კანონპროექტის შემუშავებისას. კომიტეტმა სამოქალაქო სამართლის კომიტეტთან ერთად იმსჯელა და მოსაზრებები ჩამოაყალიბა სამოქალაქო კოდექსში შესატან ცვლილებებზე და ახალ საბანკო რეგულაციებზე, რომელიც ეხება საკრედიტო ურთიერთობებს და ჭარბვალიანობის საკითხს. ამ მიზნით კომიტეტმა ორგანიზება გაუწია შეხვედრას საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან და მრგვალი მაგიდის ჩატარებას სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენლებთან.

მართლმსაჯულების და სასამართლო რეფომების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 4 სხდომა. განიხილა 1 განცხადება, რომელზეც მოახდინა რეაგირება. კომიტეტი ასოციაციის ვებ-გვერდის საშუალებით გამოეხმაურა და მოსაზრება დააფიქსირა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მედიაციის განვითარების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს მედიაციის განვითარებას საქართველოში, ხელი შეუწყოს ადვოკატთა ასოციაციის როლის გამოკვეთას და დამკვიდრებას მედიაციის პროცესში.

წლის განმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა 6 სხდომა. კომიტეტის წევრებმა მუხლობრივად განიხილეს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული მედაიციის შესახებ კანონპროექტი, რომელზედაც შემუშავდა მოსაზრებები და გაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს. ასევე, შემუშავდა მოსაზრებები კანონპროექტიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე. კომიტეტმა ორგანიზება გაუწია 3 შეხვედრას სასამართლო მედიატორებთან, რის შედეგადაც განხილულ იქნა GIZ, UNDP –ის მიერ შემუშავებული მედიატორთა ეთიკის კოდექსი და შემუშავდა ძირითადი პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპები.

პრო ბონო სერვისების კომიტეტი

კომიტეტის საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს პრო ბონო სერვისების განვითარებას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს შორის, ასევე, მოახდინოს პრო ბონო სერვისის პოპულარიზაცია იურიდიულ პროფესიაში და ხელი შეუწყოს პრო ბონო სერვისების სისტემის დანერგვასა და განვითარებას ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე.

წლის განმავლობაში კომიტეტი შეიკრიბა 6-ჯერ და შეიმუშავა პრო ბონო სერვისების პროექტის ზოგადი სამუშაო ვერსია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია იქნება პროექტის განხორციელება დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში.

რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი

კომიტეტის საქმიანობის მიზანია რეგიონში მოღვაწე ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა ასოციაციის საქმიანობაში და რეგიონში მოღვაწე ადვოკატთა პრობლემების იდენტიფიცირების გზით გაუმჯობესებული სერვისების მიწოდებაზე ზრუნვა.

წლის განმავლობაში კომიტეტის 5 შეკრება გაიმართა. ჩატარდა სკაიპ კონფერენცია რეგიონული კომიტეტების თოთოეულ თავმჯდომარესთან და მოხდა მათი პრობლემების ნუსხის შედგენა, რის შედეგადაც იგეგმება გასვლითი კონფერენციები რეგიონებში და ადგილობრივ ადვოკატებთან შეხვედრები.

შრომის სამართლის კომიტეტი

კომიტეტის მიზანია ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა შრომით საკითხებზე დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად.

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 5 სხდომა. პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად გაკეთდა პრეზენტაციები დაგროვებითი პენსიის და შრომით ურთიერთობებში გენდერული საკითხების შესახებ. ასევე შრომის უსაფრთხოების კანონში შესატან ცვლილებებზე.

კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტი

კომიტეტის საქმიანობის მიზანია იურიდიული პროფესიის და ადვოკატთა კორპუსის წევრთა ერთიანობის და შიდა კომუნიკაციის ხელშეწყობა, ადვოკატთა კორპუსის საზოგადოებრივი აქტივობისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების მხარდაჭერა.

წლის კანმავლობაში კომიტეტმა ჩაატარა 10 სხდომა და ორგანიზება გაუწია შემდეგ ღონისძიებებს:

- კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საქველმოქმედო ღონისძიებას „ადვოკატები თუთას დასახმარებლად“ თბილისსა და ბათუმში. სახსრების მოსაძიებლად ასევე დაორგანიზდა სამაჯურების დამზადება და გაყიდვა;
- კომიტეტმა ორგანიზება გაუკეთა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალი ადვოკატების საღამოს;
- კომიტეტმა ორგანიზება გაუწია მინი-ფეხბურთის ტურნირს „ადვოკატთა ასოციაციის თასი“, რომელში მონაწილეობაც ადვოკატებისგან დაკომპლექტებულმა 12 გუნდმა მიიღო. ფინალურ ეტაპამდე ასევე, იმართებოდა საფეხბურთო შეხვედრები რეგიონებში ფინალურ ეტაპზე კვალიფიკაციისათვის;
- კომიტეტმა ორგანიზება გაუწია ადვოკატთათვის ჭადრაკის ტურნირს. ტურნირი მიმდინარეობდა 2 თვის განავლობაში. დასკვნითი ეტაპი ჩატარდა ყვარელში;
- კომიტეტმა მოიპოვა დაფინანსება 26-29 ოქტობერს კიევში ჩასატარებელ ადვოკატთა საერთაშორისო ფუტზალის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

მოძიებულ იქნა სპონსორი საფეხბურთო ფორმების შესაკერად. ტურნირზე მონაწილეობის შედეგად ასოციაციის გუნდმა მოიპოვა fair play-ს ტიტული.

რეგიონული კომიტეტები

საერთო ჯამში რეგიონულმა კომიტეტებმა ჩაატარეს 80 შეხვედრა. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა განახორციელა ადვოკატის უფლებათა დაცვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა და რეაგირება მოახდინა 8 ადვოკატის განცხადებაზე და ასევე, ადვოკატის უფლებათა დაცვის იმერეთის რეგიონულმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა და რეაგირება მოახდინა 6 ადვოკატის განცხადებაზე. ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტები ჩართულნი იყვნენ მათ რეგიონში გასამართი გასვლითი შეხვედრების ორგანიზებაში.

სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის იმერეთის რეგიონულმა კომიტეტებმა თბილისის დარგობრივი კომიტეტების პარალელურად განიხილეს არაერთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი და მოსაზრებები მოაწოდეს ასოციაციას. ასევე, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა რეგიონულმა კომიტეტებმა როგორც თბილისის კულტურის და სპორტის კომიტეტთან ერთად, ასევე, დამოუკიდებლად ორგანიზება გაუწიეს სპორტულ, კურლტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.

საგანმანათლებლო მიმართულება

სასწავლო ცენტრის რესურსით განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

2018 წლის განმავლობაში ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდა 35 ტრენინგი შემდეგ თემებზე:

- ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები;
- ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილი;
- სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებები;
- მემკვიდრეობითი სამართალი;
- კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;
- სანივთო სამართალი (გირავნობა/იპოთეკა, საკუთრების აღიარებისა და რეგისტრაციის საკითხები);
- ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში;
- გარიგების ფორმა,შეცილება,საცილო გარიგებები;
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - აქტუალური საკითხები;

- განსჯადობა ადმინისტრაციულ სამართალში;
- გადაწყვეტილებანი სარჩელის სახეების მიხედვით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი;
- სარჩელის დასაშვებობა ადმინისტრაციულ სამართალში;
- საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებები;
- დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- ეკონომიური დანაშაულები;
- სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- პირადი ცხოვრების უფლებისა და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- სანივთო სამართალი;
- მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- ეკონომიური დანაშაულები;
- მტკიცებულებების დასაშვებობა სისხლის სამართლის საქმეში;
- აღკვეთის ღონისძიება;
- სამართლებრივი წერა და დასაბუთება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- მოწმის დაკითხვის ახალი წესი;
- საპროცესო დოკუმენტების დასაბუთება;
- საგადასახადო სამართალი;
- საცილო გარიგებები;
- ქონების რეგისტრაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება;
- სამოქალაქო სამართლის საპროცესო და მატერიალური საკითხები;
- ექსპერტიზის დანიშვნა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს სისხლის სამართლის საქმეზე;
- სადაზღვეო სამართალი.

პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებული აქტივობები

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტ - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG)“ თანამშრომლობით განხორციელდა 4 ტრენერთა ტრენინგი და მისი თანმდევი 30 ტრენინგი შემდეგ თემებზე:

- სამართლიანი სასამართლოს და საკუთრების უფლებათა ურთიერთმიმართება ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქრიკაში;

- სამართლებრივი წერა და დასაბუთება (სარჩელის მომზადება და დასაბუთება, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე);
- ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეები);
- ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (სისხლის სამართლის საქმეები).

ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNwomen) - ის მხარდაჭერით ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა 13 ტრენინგი როგორც თბილისში, ასევე რეგიონების მასშტაბით.

ევროსაბჭოსთან (CoE) თანამშრომლობით წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიაში შესვლის პროგრამის წარმატებით დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის:

- კონკურსის შედეგად შერჩეული ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი მენტორობის უნარ-ჩვევებსა და პროცედურულ სტანდარტებში;
- ჩატარდა 10 კასკადური ტრენინგი მენტორი ადვოკატებისთვის, რომელშიც 200-ზე მეტმა ადვოკატთა მიიღო მონაწილეობა;
- გაიმართა შეხვედრა სავალდებულო სტაჟრების პილოტური პროგრამის მონაწილეებთან. მოხდა სტაჟირების ძლიერი მხარეების და გამოწვევების იდენტიფიცირება.

ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით ასევე, შემუშავდა ტრენინგ-მოდული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, კონკურსის წესით შეირჩა მოდულის ტრენერები, რომელთაც გაიარეს ტრენერთა-ტრენინგი და შემდგომ აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 3 ტრენინგი ასოციაციის წევრებისთვის როგორც თბილისში, ასევე ბათუმში.

ევროსაბჭოსთან თანამშრომლობა მიმდინარეობს აგრეთვე HELP-ის პროგრამის ფარგლებში. 15 ოქტომბერს, თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, ევროპის საბჭოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მხარდაჭერით გაიმართა HELP-ის დისტანციური სწავლების კურსის - „ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულების“ პრეზენტაცია. უფასო ონლაინ კურსი გამიზნულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის და ბავშვთა უფლებების ექსპერტებისთვის. კურსი ინტერაქტიული სახისაა და იგი 9 მოდულისგან შედგება. ამასთან, წლის განმავლობაში განხორციელდა ასოციაციის აღმასრულებელი მდივნისა და

საგანმანათლებლო საბჭოს ვიზიტი სტრასბურგში, HELP-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე.

2018 წლის განმავლობაში ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ პროექტთან, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა 6 ტრენინგ მოდული და ჩატარდა 34 ტრენინგი შემდეგ თემებთან დამაკავშირებით:

- მორალური ზიანი;
- საავტორო და მომიჯნავე უფლებები;
- ჯვარედინი დაკითხვის ხელოვნება;
- საბანკო სამართალი;
- სამეწარმეო სამართალი;
- კონკურენციის სამართალი.

ამასთან, შეიქმნა და სტუდიურად ჩაიწერა 2 ახალი ვიდეო ტრენინგი ადვოკატთა დისტანციური სწავლების პორტალისთვის: პროფესიული ეთიკა და სახელშეკრულებო სამართალი.

აგრეთვე, CEDR-ის ექსპერტების (ანდრეი გროსმანი, სიუზან შულერი) ჩართულობით ასოციაციის ტრენერთათვის ჩატარდა ორი ტრენინგი ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში.

ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ორგანიზაციის (UNICEF) მხარდაჭერით, მიმდინარე წელს ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. აღნიშნულის საფუძველზე ადვოკატებმა, რომლებმაც გადალახეს ტესტირების ბარიერი, გახდნენ სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატებისთვის ჩატარდა დამატებითი ოთხ დღიანი ინტენსიური კურსი, რომელიც შეეხებოდა სიღრმისეულ საკითხებს, რაც უკავშირდება არასრულწლოვანის დაკითხვა-გამოკითხვას. კურსი მოიცავდა როგორც სამართლებრივ საკითხებს ასევე, მეთდოლოგიურს და ფსიქოლოლგიურ ასპექტებს.

ამასთან, წლის განმავლობაში ასოციაციის წევრთათვის გაიმართა არაერთი სხვადასხვა ფორმატის საგანმანათლებლო ღონისძიება პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით:

- IRZ - ის მხარდაჭერით, კონკურსის საფუძველზე შეირჩნა და ერთთვიანი სტაჟირება გაიარა გერმანიაში ორმა ადვოკატმა;
- მაისის თვეში შედგა ტელეხიდი ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა ევროპულ სასამართლოსთან;

- მაისის თვეში ადვოკატთა ასოციაციისა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო პალატის (BoA) საქმიანობის და პრაქტიკის მიმოხილვა“. შეხვედრას უძღვებოდნენ, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო პალატის პრეზიდენტი ტეოფილოს მარგელოსი, მე-2 პალატის თავმჯდომარე სვენ შტუმანი და მე-5 პალატის თავმჯდომარე გორდონ ჰამბრი;
- ივლისის თვეში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით ბათუმში ჩატარდა - სემინარი თემაზე - შრომის საერთაშორისო სტანდარტები და ასევე, ბენჩ ბარი თემაზე - შრომის საერთაშორისო სტანდარტები, რომელსაც ადვოკატებთან ერთად ესწრებოდნენ მოსამართლეები;
- ივლისსა და აგვისტოში დავების განმხილველ ცენტრთან (DRC) თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ადვოკატის როლი არბიტრაჟში;
- ივლისში, ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობით გაიმართა მე-4 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“;
- სექტემბერში CLDP-თან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე კონტრაქტები საერთაშორისო გაყიდვებში, რომელსაც უძღვებოდნენ მოსამართლეები აშშ-დან;
- ოქტომბერში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობით ჩატარდა სემინარი თემაზე - სისხლის სამართალი და სამართალწარმოების პროცედურები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომელსაც უძღვებოდნენ მაღალი დონის ექსპერტები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოდან. აღსანიშნავია, რომ სემინარში მონაწილეობის შემდეგ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა მიმართონ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და გაიარონ შესაბამისი პროცედურები სასამართლოს დაცვის მხარის სიაში (List of Counsel) მოსახვედრად.
- ნოემბერში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდისა (IRZ) და გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის (BRAK) მხარდაჭერით, ასოციაციის წევრებისთვის გაიმართა გერმანულ-ქართული სამართლის კონფერენცია, რომელსაც უძღვებონენ გერმანელი მოსამართლე და ადვოკატი და რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებს.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

2018 წლის განმავლობაში ჩატარდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2 ციკლი.

გაზაფხულის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 1015 დარეგისტრირებული აპლიკანტისთვის, რომელთაგანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 245-მა.

შემოდგომის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 1031 დარეგისტრირებული აპლიკანტისთვის, რომელთაგანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 277-მა.

2018 წელს ასოციაციის ისტორიაში პირველად ჩატარდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის და შეიქმნა ყველა პირობა, რომ მათ დაუბრკოლებლად შეძლებოდათ საგამოცდო პროცესში მონაწილეობა. ამ მიმართულებით ადვოკატთა ასოციაცია ინოვაციურ სიახლეებს მომავალშიც გეგმავს.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოზამზადებელი კურსები

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადედბული კურსის საგაზაფხულო ნაკადი გაიარა 59-მა მსმენელმა, რომელთაგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 19-მა.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადედბული კურსის საშემოდგომო ნაკადი გაიარა 77-მა მსმენელმა, რომელთაგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 31-მა.

ეთიკის კომისია

სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრების შესახებ

2018 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში რეგისტრირებულია 170 საჩივარი. ამასთან, წინა წლებიდან ნაშთის სახით 2018 წელს გადმოსულია 95 საქმე. 2018 წელს კომისიის წარმოებაში არსებული 265 საქმიდან 148 საქმეზე დასრულდა წარმოება.

2018 წლის განმავლობაში შემოტანილი 170 საჩივარი წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტების მიერ: კლიენტების მიერ - 115 საჩივარი; მოწინააღმდეგე მხარის მიერ - 28 საჩივარი, ადვოკატების მიერ – 19 საჩივარი, სასამართლოს მიერ - 4 საჩივარი, პროკურატურის მიერ - 1 საჩივარი, სხვა პირების მიერ - 3 საჩივარი.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 65 პირის მოთხოვნა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე და შესაბამისად, მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის გამო, რაც შეადგენს დასრულებულ

საქმეთა რაოდენობის 43%-ს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრები შეეხებოდა ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების, გარანტიის მიცემის დაუშვებლობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კანონიერების პრინციპის დაცვის ვალდებულების, სასამართლოში ქცევის წესების, პროცესის მონაწილესთან ქცევის წესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე პრეტენზიებს, თუმცა, საჩივართა შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა.

42 საჩივარზე ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აქედან 2 საჩივარზე წარმოების შეწყვეტის მიზეზს წარმოადგენდა მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გაშვება, 10 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაიხმო საჩივარი, ხოლო 30 შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უარი თქვა საჩივართა განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით: საჩივარის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; არსებობდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე; საჩივარი არ შეიცავდა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ» დებულებით საჩივრისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს. შედეგად დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 28%-ზე შეწყდა დისციპლინური წარმოება.

ეთიკის კომისიამ 41 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 27%-ს შეადგენს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა: ნდობის პრინციპი (5 შემთხვევა), კანონიერების პრინციპი (4 შემთხვევა), ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება (2 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი (4 შემთხვევა), კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება (10 შემთხვევა), კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მსვლელობის თაობაზე (8 შემთხვევა), ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა (2 შემთხვევა), კოლეგიალობა (5 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (4 შემთხვევა), ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კლიენტისთვის წარდგენის ვალდებულება (3 შემთხვევა), კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება (3 შემთხვევა), კლიენტის ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახრებისგან განცალკევებით შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება (1 შემთხვევა), საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მიღებული საზღაურიდან მის მიერ გაწეული საადვოკატო

მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხის გამოქვითვა და საზღაურის სახით მიღებული თანხიდან გამოუმუშავებელი ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება (10 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხილვის კოლეგიებმა 14 საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე, აქედან ოთხი საქმე განიხილა ეთიკის კომისიის მთლიანმა შემადგენლობამ. დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 9.5 %-ის შემთხვევაში დაეკისრა ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

- 5 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი;
- 8 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება იქნა გამოყენებული;
- 1 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით, იქნა გამოყენებული.

დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ შესწავლის ეტაპზე, ეთიკის კომისიის მიერ 5 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა, ვინაიდან არ დადასტურდა ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა სამი გადაწყვეტილება, აქედან ერთ საქმეზე ხანდაზმულობის საფუძვლით შეწყდა წარმოება, მეორე გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა, ხოლო მესამე გადაწყვეტილებაზე საჩივარი განუხილველი დარჩა გასაჩივრების საპროცესო ვადის გაშვების გამო.

რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები

ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციები წერილობით თუ ცხელი ხაზის საშუალებით გაიცემა 2013 წლის მარტის თვიდან და დღემდე 2018 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით გაიცა 206 რეკომენდაცია. 2018 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით კომისიამ ჯამში 61 რეკომენდაცია გასცა.

შეკითხვის ავტორ ადვოკატთა ვინაობა კონფიდენციალურია დისციპლინური სამართალწარმოების დებულებით, თუმცა, საგულისხმოა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც წერილობითი თუ ზეპირი რჩევა 2-ჯერ და მეტჯერ მიიღო ერთი და იგივე ადვოკატმა. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემის სასარგებლო როლზე ადვოკატის პროფესიულ

საქმიანობაში. ადვოკატებს ეთიკის კომისიის რეკომენდაციები სწორედ იმ მხარდამჭერ და დამხმარე საშუალებად უნდა ეგულებოდეთ, რა მიზნითაც დაინერგა იგი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (USAID – EWMI – JILEP) ხელშეწყობით. მსგავსი გამოცდილება მრავალი ათეული წლებია არსებობს ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის დამოუკიდებელ და ეთიკური ვალდებულებების დაცვით განხორციელებულ საქმიანობაში.

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი

2018 წლის განმავლობაში, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მიერ ან მისი აპარატის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 01 მაისს ეთიკის კომისიის წევრები აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან და USAID-PROLOG-ის პროექტის ეთიკის ექსპერტ ჯეიმს მოლიტერნოსთან ერთად შეხვდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსამართლეებს. შეხვედრის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება და ადვოკატის საჩივრის განხილვის პროცესში არსებული სამართლებრივი პრობლემების განხილვა;
- 04-05 მაისს ეთიკის კომისიის და აღმასრულებელი საბჭოს გასვლითი შეხვედრა დაეთმო ადვოატის პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვას USAID-PROLOG-ის პროექტის ეთიკის ექსპერტ ჯეიმს მოლიტერნოს მონაწილეობით. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ეთიკის კომისიის როლი დავების მედიაციის გზით მოგვარების პროცესში და იმ ტიპის საჩივრების განსაზღვრა, რომელთა მოგვარებაც მედიაციის გზითაა შესაძლებელი; ეთიკის კომისიის როლი იურიდიული პროფესიის გაძლიერებასა და ეთიკური სტანდარტების გაუმჯობესებაში; ეთიკის კომისიის რეფორმა - სასამართლო და საგამოძიებო ფუნქციების გამიჯვნა; სანქციათა პროპორციულობა და მათი დაკისრების პროცედურა; მტკიცების სტანდარტი - როგორი უნდა იყოს ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური სახდელის სტანდარტი. შეხვედრა გაიმართა USAID-PROLOG-ის პროექტის ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების“ ფინანსური მხარდაჭერით;
- ეთიკის კომისიის წევრებმა CCBE-ის ექსპერტთან ჯედრეი კლატკასთან ერთად ვიდეო ზარით დისტანციურად განიხილეს დისციპლინური წარმოების აქტუალური საკითხები, როგორიცაა მხარეები დისციპლინურ საქმისწარმოებაში, საპროცესო კოლეგიის წევრების მონაწილეობით ეთიკის

კომისიის სრული შემადგენლობის მიერ საქმის განხილვაში რამდენად დაცულია ფუნქციური დამოუკიდებლობის პრინციპი.

- ეთიკის კომისიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების შემუშავებაში და წევრთა ჩართულობით კანონში ეთიკის კომისიის საქმიანობის მოწესრიგების მიზნით შემდეგი ძირითადი ცვლილებები შევიდა:
    - ✓ ახლებურად მოწესრიგდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მუხლები;
    - ✓ გაიზარდა საპროცესო წესით საქმისწარმოების ვადა, ასევე დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადა;
    - ✓ შემცირდა ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვის ქვორუმი;
    - ✓ შეიცვალა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის ვადა;
    - ✓ საერთო კრებას მიენიჭა უფლებამოსილება ეთიკის კომისიის წევრებთან ერთად აირჩიოს 6 სათადარიგო წევრი, რომელიც კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ჩაანაცვლებს მოცემულ წევრს;
    - ✓ გაიწერა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ადვოკატის საჩივრის განხილვის წესი.
- ეთიკის კომისიის აპარატის უფროსმა იურისტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მხარდაჭერით სომხეთის დედაქალაქში ორგანიზებულ კონფერენციაში - ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. კონფერენციაზე განხილული საკითხებია: ადვოკატთა პროფესიული ეთიკა - ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან; ინფორმაციის დაცვის წესები; პროფესიული ქცევის მოწესრიგების მიზანი: პერსონალური, სოციალური და პროფესიული ასპექტები: ევროკავშირის ქვეყანათა გამოცდილება;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ბაზაზე შექმნილი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკის მონაწილეთათვის სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიება გაიმართა. კლინიკა 2016 წლიდან ფუნქციონირებს. კლინიკის მიზანია მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ

სტანდარტებს და საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყო ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის. კლინიკა დანერგილია შემდეგ უნივერსიტეტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი და ევროპის უნივერსიტეტი. კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ლიტერატურის შეძენა ფინანსურად უზრუნველყო USAID-PROLoG-ის პროექტმა ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება;"

- მიმდინარეობს მუშაობა ეთიკის კომისიის რჩეულ გადაწყვეტილებათა მიმოხილვის გამოცემის გაკეთების თაობაზე. გამოცემა მოიცავს 2006-2018 წლების კომისიის გადაწყვეტილებათა მიმოხილვას. პროექტს ფინანსურად უზრუნველყოფს UNDP-ის ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტი;
- ეთიკის კომისიამ შეიმუშავა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების ცვლილებები, რომლის მიზანია დებულება შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე დებულებით მოწესრიგდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატთა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი. ეთიკის კომისიამ ცვლილებების შემუშავების შემდეგ აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად განიხილა დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც საერთო კრებას წარედგინა დასამტკიცებლად.

სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიის დაკვეთით განხორციელდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის ფინანსური დანახარჯების შემოწმება კონკურსის შედეგად შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ. აუდიტის დასკვა განიხილა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიამ, რომელიც წლის ბოლოს განთავსდება ასოციაციის ვებგვერდზე.